

გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემატური
საკითხები

მარიამ შალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც, წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ შალაშვილი

01.07.2019

აბსტრაქტი

როგორც, წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან და განმახორციელებელ სუბიექტებთან დაკავშირებულ ნორმებში ხარვეზების დადგენასა და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ქვეყნების მაგალითზე.

წინამდებარე კვლევა არის მცდელობა გამოასწოროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე, 167-ე, 171-ე, 172-ე და 108-ე მუხლების ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსი, მით უმეტეს, რომ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და დევნის განმახორციელებელ სუბიექტთა წრის მიმართ.

კვლევაში ახლებურადაა წარმოდგენილი საკვლევი საკითხი, რაც გამოიხატება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და პრაქტიკის ანალიზით. ნორმატიულ დონეზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. დევნა იწყება პირის დაკავების, ან პირისთვის ბრალის წაყენებით. დაკავების უფლების მქონენი, კი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული და არცთუ მცირეა. პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტის და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუბიექტის კანონისმიერი დანაწესები საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რადიკალურად განსხვავებულ განმარტებას აკეთებს პირის ბრალდებულის სტატუსის შექმნასთან მიმართებაში. ამასთანავე, მნიშვნელოვნია, დადგინდეს უნდა ჩაითვალოს, თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებად სასამართლოს

განჩინება პირის დაკავების შესახებ ანდა სასამართლოს განჩინება პროკურორის მიერ შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების თაობაზე.

კვლევა მკითხველს თავაზობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემატური საკითხების და სისხლისსამართლებრივი დევნის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს და მის საფუძველზე პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავება, ბრალი.

Abstract

Current work aims at identifying the shortcoming in terms of the norms connected with the launch of criminal prosecution and prosecuting agents as provided for in the criminal procedure laws of Georgia, and at searching the ways to eliminate the shortcomings on the examples of the countries of continental Europe and Anglo-America.

Current research endeavours to rectify the controversial formulations of articles 166, 167, 171 and 172 of the Criminal Procedure Code that are directly linked with the lawfulness of the start of criminal prosecution against offenders. About the need of such research speaks the lack of single opinion in the law literature and within practising lawyers with regard to the launch of criminal prosecution and the group of prosecuting agents.

The value of the research is to reflect the issue in a new way by means of analyses of the criminal procedure laws and judgements and practice of the European Court of Human Rights. On the normative level, only a prosecutor may prosecute a person criminally. The prosecution begins with a detention of the person or with reading formal charges against the person. The authorised agents to detain a person are determined by the criminal procedure legislation and the list is not short.

On the practical and theoretical levels, the legal provisions for the moment of the start of prosecution and for the prosecuting agents require legislative changes. Particularly, the European Court of Human Rights provides for a radically different interpretation in terms of acquiring a status of an accused person. Further more, it is important to determine whether the court ruling on the detention of a person to initiate criminal prosecution or the court ruling on the renewal of the criminal prosecution by the prosecutor.

The master's thesis represents an attempt to establish the existing deficiencies in the legislation and practice to eliminate the above problematic issues.

The results of the research offer the analyses of problematic issues under the Criminal Procedure Code and comparative legal analyses of the criminal prosecution, and based on this the ways to solve the problems in practice.

The research uses historical, formal-logical, quantitative, comparative and legal methods of research.

Key words: Criminal prosecution, detention, accusation.